

მამუკა ეგუტიკა

საქართველოს სახელმწიფო  
საზღვრის გადაკვეთასთან  
დაკავშირებულ დანაშაულთა  
სისხლის სამართლებრივი  
დახასიათება



თბილისი, 2018  
გამომცემლობა „იურისტების საფარო“

წიგნში მოცემულია საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულ იმ დანაშაულთა კომენტარი, რომელთა ჩადენაც შემხებლობაშია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან.

ამომწურავადაა დახასიათებული სახელმწიფო საზღვარზე, როგორც მოძრავი ნივთის, ასევე პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული ცალკეული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი მუხლები. გაანალიზებულია საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა სამართლებრივი აქტები, სასამართლო პრაქტიკა, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა. ცალკეულ საკანონმდებლო „პრობლემებზე“ წარმოდგენილია ავტორის სუბიექტური ხედვა.

*მამუკა ეგუტიძე*

© მამუკა ეგუტიძე, 2018

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ.: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: [www.law.ge](http://www.law.ge)

ელ-ფოსტა: [Info@law.ge](mailto:Info@law.ge)

[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](https://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers)

ISBN 978 – 9941-9585-7-1

## შინაარსი

თავი I .....	7
სახელმწიფო საზღვარი .....	7
1.1 საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული მიმოხილვა.....	7
თავი II .....	13
სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული დანაშაული.....	13
2.1 საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ დანაშაულთა ზოგადი მიმოხილვა .....	13
თავი III .....	19
სახელმწიფო საზღვარზე პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაული .....	19
3.1 საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა..	19
3.2 საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანა ან/და საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის სათანადო პირობების შექმნა .....	26
3.4 ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).....	45
3. 5 თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება	80
3. 6 ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა.....	95
3. 7 შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა.....	101

<b>თავი IV .....</b>	<b>105</b>
<b>სახელმწიფო საზღვარზე მოძრავი ნივთის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაული ..105</b>	
4.1 საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოძრავი ნივთის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაული (ზოგადი მიმოხილვა).....	105
4.2 საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა.....	110
4. 4 საქართველოს ტერიტორიაზე რადიექტიური, სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი ან იმპორტი, ან არა სახიფათო ნარჩენების იმპორტი განთავსების მიზნით ან სახიფათო ნარჩენების უკანონო ექსპორტი .....	164
4.5 მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის,, მეცნიერულ ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი.....	172
4.6 ბირთვული მასალის, რადიექტიური ნარჩენის, რადიექტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა. ....	179
4.7 ძეგლების და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანა.....	186
4.8 ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი ან/ და რეექსპორტი.....	190
<b>თავი V ნარკოკონტრაბანდა .....</b>	<b>196</b>
5.1 ნარკომანია (ზოგადი მიმოხილვა).....	196
5.2 ნარკომანია და ნარკოტიკული ნივთიერებები .....	211
(ზოგადი დახასიათება).....	211
5.3 ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა გადაგზავნა ან გასაღება.....	225

5.4 ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან წარმოება.....	248
5.5 ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოთ შემოტანა, საქართველოდან უკანონოთ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა .....	252
5.6 საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა. ....	270
<b>თავი VI .....</b>	<b>275</b>
<b>სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა</b>	
<b>მისი დაცვა .....</b>	<b>275</b>
6.1.საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა .	275
6.2 სასაზღვრო სამსახურის შესრულების წესის დარღვევა.....	279



# თავი I

## სახელმწიფო საზღვარი

### 1.1 საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული მიმოხილვა

სახელმწიფო საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც სახელმწიფო აპარატის და საჯარო მოხელეების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას. სახელმწიფოს ზრუნვის საგანია ქვეყნის ერთიანობის და მთლიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სამართლისა და სამართლიანობის დამკვიდრება.

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავის იურისდიქციას, რომელიც ტერიტორიის საზღვრებითაა შემოფარგლული. ეს ხელისუფლება ვრცელდება ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირსა და ორგანიზაციაზე, ყოველი უცხოელი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ამ ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.<sup>1</sup>

სახელმწიფოს იურისდიქცია, მისი სუვერენული ძალაუფლება ვრცელდება სახელმწიფო საზღვრებით შემოფარგლულ ლოკალურ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო საზღვრის არსებობა და ამ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სახელმწიფო საზღვარი არის საზღვარი ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ან, მარტივად, სახელმწიფო ტერიტორიის განმსაზღვრელი ხაზი.

სახელმწიფო საზღვრის კლასიფიკაციისთვის ხშირად იყენებენ ბოგსის კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც ჯგუფდება: ფიზიოგრაფიული საზღვრები, როდესაც საზღვრები მიჰყვება ტერიტორიის გამოკვეთილ ფიზიკურ ნიშნებს, მდინარეებს, მთებს, ტბებს და სხვა. (მაგალითად, ნეპალსა და ჩინეთს შორის საზღვარი ევერესტზე გადის. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი

1 ლ. ალექსიძე “თანამედროვე საერთაშორისო სამართალი”, თბილისი, 2010 წ. გამომცემლობა „ინოვაცია“, გვ.41

კავკასიონის მთებზე გადის). ანთროტროპოგრაფიული საზღვრები მიჰყვება ადამიანის ხელით შექმნილ ნიშნებს, გეომეტრიული მიჰყვება გრძედსა და განედს, ხოლო კომპლექსური წარმოადგენს ზემოჩამოთვლილის ნაერთს.

სახელმწიფოთა შორის საზღვრები, უმეტესად, დგინდება ურთიერთშეთანხმებით, ასეთ შემთხვევაში, საზღვრად შეიძლება დადგენილი იქნეს ამ სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი ადგილი, ასეთია ნიდერლანდებსა და ბელგიას შორის საზღვარი დასახლება ბარელში, რომელიც კაფეს კვეთს, რომლის სტუმრების ნაწილი ნიდერლანდებში, ხოლო ნაწილი ბელგიაში იმყოფება. ამერიკას და კანადას შორის საზღვარი ქალაქ დერბში საოპერო თეატრსა და ბიბლიოთეკაზე გადის.

სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედებით სახელმწიფოთა საზღვრები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა და კვლავაც იცვლება, ანალოგიურ ცვლილებებს განიცდიდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებიც.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრება დაიწყო დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი წლის წინ. დმანისის აღმოჩენებმა და ჩატარებულმა კვლევებმა წარმოშვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ სწორედ საქართველოდან უნდა დაწყებულიყო ევროპაში ადამიანთა განსახლების ხანგრძლივი პროცესი.

საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის დროის შესახებ მკვლევარებს სხვადასხვა მოსაზრება გააჩნიათ, ერთნი მიიჩნევენ, რომ საქართველოში სახელმწიფო სამასი ათასი წლის წინ წარმოიშვა, ხოლო მეორენი ვარაუდობენ, რომ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობას 25 საუკუნოვანი ისტორია აქვს.

პროფესორი გ. მამულია ვარაუდობს, რომ ქართლში სახელმწიფო ქრისტეს შობამდე IV საუკუნეში წარმოიშვა.<sup>2</sup>

ისტორიული ქარტახილების პარალელურად იცვლებოდა საქართველოს ტერიტორიის საზღვრები, საქართველოს სახელმწიფოს მუდმივი ბრძოლა უწევდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პრო-

2 გ. მამულია „კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ქართლში“, თბილისი, 1979წ, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 192



ფესორი ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავდა რა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს, 1919 წელს კონსტანტინეპოლის კონფერენციისთვის დაწერილ გამოკვლევაში აღნიშნავდა „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავი ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალ, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ.“<sup>3</sup>

XVIII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო ირანის და სხვა მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისგან თავდაცვის მიზნით, იძულებული გახდა, კავშირი დაემყარებინა ერთმორწმუნე რუსეთთან, რაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით, გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასრულდა. რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, მფარველობა გაენია ქართლ - კახეთის სამეფოსთვის. გარანტიას იძლეოდა, რომ შენარჩუნდებოდა ქართლ-კახეთის მეფის და მისი მემკვიდრეების სამეფო ტახტი, სამფლობელო და რომ საქართველოს მის ისტორიულ საზღვრებში აღადგენდა. რუსეთი ვალდებულებას იღებდა, საქართველოს მტრები საკუთარ მტრებად ეცნო.

რუსეთმა არ შეასრულა აღებული ვალდებულება, თავისი იმპერიული ზრახვების მისაღწევად გააუქმა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და საქართველოში საკუთარი

3 ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს საზღვრები“ <https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/07/javaxishvilisazgvrebi.pdf>

მმართველობა დაამყარა. საქართველოს საზღვრები რუსეთის იმპერიის საზღვრები გახდა.

1804 – 1878 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ ირანთან და ოსმალეთთან წარმოებული ომების შედეგად, ამ სახელმწიფოებთან დაიდო ზავი. 1812 წელს ბუქარესტის, 1813 წელს გულისტანის, 1828 წელს თურქმანჩაის, 1829 წელს ანდრიანოპოლის, 1878 წელს სანსტეფანოს და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, საქართველოს ძირძველი მიწები ჭარ - ბელაქანი ირანის მფლობელობიდან, ხოლო სამცხე საათაბაგო, ლაზეთი, ართვინი, აჭარა და აფხაზეთი ოსმალეთის გამგებლობიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა. ეს სურათი შენარჩუნებული იქნა 1917 წლამდე, რუსეთის იმპერიის დაშლამდე.

საქართველო მოუმზადებელი დახვდა 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიის დაშლას. დროულად ვერ მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება და ქართული ხელისუფლების შექმნა. მარტის თვიდან თბილისში ხელისუფლების ფუნქციის შესრულებას შეუდგა რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ, 1917 წლის 15 ნოემბრიდან ხელისუფლება გადაეცა ამიერკავკასიის კომისარიატს ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

1918 წლის იანვარში შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით, 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა დააკანონა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა.

ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების შედეგად, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ დაიწყო სახელმწიფო საზღვრის დადგენის პროცედურა მეზობელ სახელმწიფოებთან: ოსმალეთთან, რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის სანაცვლოდ, 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში დაიდო საქართველო - ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება, რომლის და-